საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №4

ქ. თბილისი **20.03.2017**

სხდომას ესწრებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ელიზბარ ელიზბარაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის თანადირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ანანო გიორგაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი, საბჭოს მდივანი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
მანანა მიქაბერიძე - სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
ნანა შათაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;
ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი ,,საერთაშორისო განათლების ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი;
გიორგი მუსხელიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი;
ლაშა ლაბაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) თანამშრომლები:

ლევან მადათოვი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი;
ნინო გაგელიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;
თამარ აფრასიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

მოგელი შენგელია - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მურთაზ კვირკვაია - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი;
გიორგი ცხვედიანი - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს ვიცე რექტორი;
ნონა ზუმბაძე - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ივანე აბიათარი - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს მედიცინის ფაკულტეტის დეკანი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):
გოჩა თუთბერიძე;
მაია გონაშვილი;
ნინო ჩიხლაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:05 საათზე.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს მედიცინის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 240

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა გოჩა თუთბერიძემ და მაია გონაშვილმა.

- მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებდა ნექსუსის პროგრამა და სტუდენტის გზამკვლევის მიხედვით ყველგან მითითებული იყო შუალედურებისა და გამოცდის ჩაბარების მინიმალური ზღვარი, სასურველი იყო სილაბუსებშიც ყოფილიყო მითითებული გამოცდის ჩაბარების მინიმალური ზღვარი სტუდენტის მეტი ინფორმირებულობის მიზნებიდან გამომდინარე;
- სასურველი იყო პრერეკვიზიტებში საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად მითითებული ყოფილიყო სპეციალობის სავალდებულო კურსების გავლა.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს და სთხოვა დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

წარმომადგენელმა, კერძოდ მურთაზ კვირკვაიამ ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანმა განაცხადა, რომ ორივე რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული, შესაბამისად ასახული გახლდათ რეგულაციებში და სილაბუსებში.

საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა განაცხადა, რომ წინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნაში ასახული გახლდათ პრობლემები აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით, მას აინტერესებდა გამოსწორებული იყო თუ რა ადრე არსებული გარემოება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გამოცხადებული იქნა კონკურსი და აკადემიურ თანამდებობებზე აყვანილი ჰყავდათ ახალი თანამშრომლები.

საბჭოს წევრი გიორგი მუსხელიშვილი დაინტერესდა დაწესებულება თუ ახორციელებდა აღნიშნული პროგრამის ქართულ ანალოგს, ასევე თუ მოხდებოდა აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხულ უცხოელ სტუდენტთა დასაქმება საქართველოში და რას ემსახურებოდა მათი სტრატეგია.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება ახორციელებდა ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვან პროგრამასაც, რაც შეეხებოდა უცხოელ სტუდენტებს, მათ ერთ-ერთ მიზანს სტრატეგიული გეგმის მიხედვით წარმოადგენდა განათლების ექსპორტი, ასევე გასათვალისწინებელი გახლდათ ინტერნაციონალიზაციის ასპექტი და ფინანსური თვალსაზრისიც.

საბჭოს წევრი მანანა მიქაბერიძე დაინტერესდა დაწესებულებას თუ ჰქონდა ჩატარებული ბაზრის კვლევა და რომელი ქვეყნებიდან ელოდებოდნენ სტუდენტების აქტიურობას.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება აწარმოებდა მოლაპარაკებებს ინდოეთთან, სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებოდნენ საერთო საცხოვრებლითაც, თუმცა პროგრამა უცხოენოვან ქართველ სტუდენტებსაც მოიაზრებდა.

საბჭოს წევრი გიორგი მუსხელიშვილი დაინტერესდა თუ იყვნენ სტუდენტები ჩართული პროგრამის შემუშავებაში და რა სახით ხორციელდებოდა მათი ჩართულობა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხდებოდა კურსდამთავრებულების და ქართულენოვანი ანალოგი პროგრამის სტუდენტების გამოკითხვა.

საბჭოს წევრმა მანანა მიქაბერიძემ განაცხადა, რომ იგი პროგრამის ძლიერ მხარედ მიიჩნევდა ინტერნშიფის განხორციელებას, რომელიც დაგეგმილი გახლდათ დაწესებულებაში და დაინტერესდა რომელი ქვეყნების უნივერსიტეტები ჩაერთვებოდნენ აღნიშნული აქტივობის განხორციელებაში.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხელშეკრულებები იყო გაფორმებული გერმანიის, პოლონეთის და სხვ. ქვეყნების უნივერსიტეტებთან, იგეგმებოდა ხუთი სტუდენტის გაგზავნა, ჯგუფში არ მოიაზრებოდნენ მხოლოდ ინდოელი სტუდენტები.

თავმჯდომარე დაინტერესდა იკვლევდა თუ არა უნივერსიტეტი რამდენად მოხდებოდა მათი სტუდენტების დასაქმება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დასაქმების სფეროს კვლევა და პოტენციურ დამსაქმებლებთან ურთიერთობა გახლდათ უნივერსიტეტის მთავარი მიზანი რაც უზრუნველყოფდა პროგრამის მდგრადობას და მის სამომავლო წარმატებას.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

16:40 საათზე სხდომაზე გამოცხადდა საბჭოს წევრი ლევან გორდეზიანი.

2. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს მედიცინის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: მედიცინა
განათლების საფეხური: ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 360

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა ნინო ჩიხლაძემ.

- საგანმანათლებლო პროგრამაში გაწერილი იყო კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო. პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება ჰქონდა გაევლო რეზიდენტურის კურსი, საქართველოში ან უცხოეთში შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული რეზიდენტურასთან გათანაბრებული სწავლება, სასურველი იყო აღნიშნული ჩანაწერი დაკონკრეტებული ყოფილიყო საქართველოსა და უცხოეთის მოქალაქეებისათვის, ვინაიდან პროგრამის ფარგლებში შეძენილი ქართული ენის A2 დონის შესაბამისი კომპეტენციით უცხო ქვეყნის მოქალაქე ვერ შეძლებდა ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას;
- საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსებს ეთმობოდა 348 კრედიტი, არჩევით სასწავლო კურსებს 12 კრედიტი, ამდენად, პროგრამის აღწერილობით ნაწილში მოცემული ინფორმაცია აღნიშნული თანაფარდობის შესახებ ჩასასწორებელი იყო (350კრ/10კრ);
- სასწავლო კურსების ,,კლინიკური უნარ-ჩვევები“ და ,,კლინიკური კლერკშიფი“ განხორციელებაში მედ. დოქტ. ირაკლი ამირანაშვილთან და მედ. დოქტ. ინგა მამუჩიშვილთან ერთად ჩართული გახლდათ დიპლომირებული სტომატოლოგი ანა ლოლიშვილი, აღნიშნული სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის სასურველი იყო ყველა განმახორციელებელ პირს ჰქონოდა დიპლომირებული მედიკოსის შესაბამისი კვალიფიკაცია.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა, დასაქმების სფეროებში აღწერდა სტუდენტების დაშვების დონეს, პროფესიაში მუშაობის (უმცროსი ექიმის პოზიციაზე) ან პროფესიული გადამზადების/დიპლომის შემდგომი განათლების (რეზიდენტურა) მიღების კუთხით და არ იყო და ვერ იქნებოდა ორიენტირებული უცხო ქვეყნის მოქალაქის დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებაზე, ვინაიდან აღნიშნული საპრეზიდენტო პრაქტიკისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გამოცდისათვის მომზადებას საჭიროებდა, რაც სცილდებოდა უმაღლესი განათლების კურიკულუმის სფეროს.

ასევე აღსანიშნავი იყო, რომ სამედიცინო პროგრამა, ინტეგრირებული კლინიკური დისციპლინებით საკმაოდ ბევრ პროფესიულ, მედიცინის სფეროს საკითხებს აშუქებდა (348 კრედიტი 260-დან) და მედიცინის საგნების შემცირება ქართული ენის შესწავლის ხარჯზე პროგრამის ხარისხისათვის ნაკლებად მართებული იქნებოდა, მით უმეტეს, ისეთ შემთხვევაში, როდესაც ინგლისურენოვანი პროგრამის საქართველოს მოქალაქე სტუდენტები ისედაც ფლობდნენ ქართულ ენას, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის, საქართველოში სამედიცინო საქმიანობის უფლების მოპოვება რეზიდენტურის გავლისა და საექიმო საქმიანობის სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარების გზით არ წარმოადგენდა კარიერულ პრიორიტეტს.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით სავალდებულო სასწავლო კურსებს ეთმობოდა 348 კრედიტი, არჩევით სასწავლო კურსებს 12 კრედიტი. პროგრამის აღწერილობით ნაწილში იყო ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ, სავალდებულო სასწავლო კურსები წარმოადგენდა 350 კრედიტს, ხოლო არჩევითი 10 კრედიტს, თუმცა სასწავლო გეგმაში კრედიტების განაწილება იყო სწორი (348/12) ექსპერტთა ვიზიტის დროს აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი პროგრამის აღწერილობით ნაწილში გასწორებული იქნა.

მესამე რეკომენდაციას რაც შეეხებოდა სასწავლო კურსებს ,,კლინიკური უნარ-ჩვევები“ და ,,კლინიკური კლერკშიფი“ სხვა ორ ლექტორთან ერთად კითხულობდა ანა ლოლაშვილი, რომელსაც გააჩნდა აღნიშნული კურსის წაკითხვისათვის შესაბამისი კვალიფიკაცია, ჰქონდა პედაგოგიური გამოცდილება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, კლინიკური ანატომიისა და კლინიკური უნარ-ჩვევების მიმართულებით.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს იცნობდა თუ არა იგი ექსპერტთა ჯგუფის წინა დასკვნას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მას შესწავლილი ჰქონდა წინა დასკვნა, რომელშიც ხარვეზები ძირითადად შეეხებოდა მატერიალურ რესურსს, მიმდინარე ვიზიტის დროს მატერიალურ რესურსთან დაკავშირებულ ხარვეზებს აღარ ჰქონდა ადგილი, უნივერსიტეტს ჰქონდა შეძენილი პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ყველა ინსტრუმენტი, მულაჟები და სხვა საჭირო ატრიბუტიკა. უნივერსიტეტს ასევე ჰქონდა რამოდენიმე შეთანხმება სამეცნიერო კვლევით ცენტრთან, სადაც მოხდებოდა სტუდენტთა ჩართვა.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა ჰქონდა თუ არა აკადემიურ პერსონალს ლექციების ინგლისურად წაკითხვის კომპეტენცია.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა სათანადო პერსონალის მოძიება და შერჩევა, თითოეულ მათგანს ჰქონდა საზღვარგარეთ სწავლების ან

მუშაობის გამოცდილება. სტუდენტებისათვის პროგრამაზე დაშვების წინაპირობა გახლდა B2 დონე, უცხოელ სტუდენტებს მოეთხოვებოდათ ასევე სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც აღიარებული იქნებოდა ცენტრის მიერ.
საბჭოს წევრმა გიორგი მუსხელიშვილმა განაცხადა, რომ როგორც მისთვის იყო ცნობილი ლუგარის უნივერსიტეტში სადაც დაწესებულება გეგმავდა სამეცნიერო კვლევისათვის სტუდენტების მივლინებას არ ხორციელდებოდა კვლევითი კომპონენტი, ძირითადად ლუგარის ცენტრი ორიენტირებული გახლდათ დიაგნოსტიკაზე.
წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დიაგნოსტიკურ მიმართულებასთან ერთად ლუგარის ცენტრი ახორციელებდა მრავალ კვლევით პროექტებს.
საბჭოს წევრი მანანა მიქაბერიძე დაინტერესდა თუ რით იყო პრივილეგირებული აღნიშნული პროგრამა სხვა სამედიცინო პროგრამებისაგან განსხვავებით.
წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გარდა ძლიერი აკადემიური პერსონალისა უნივერსიტეტს ჰქონდა დამატებითი სერვისებიც მაგ: საერთო საცხოვრებელი, კლინიკურ ბაზებთან ხელმისაწვდომობა და ა.შ. ასევე სამომავლოდ იგეგმებოდა თანამშრომლობა ევექსის კორპორაციასთან.
საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა სწავლის საფასურის ოდენობით.
წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გადასახადი შეადგენდა 4700 დოლარს.
თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტ სეუს მედიცინის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს მედიცინის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს წევრებმა ნინო ჩინჩალაძემ და გიორგი მუსხელიშვილმა.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 17:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ელიზბარ ელიზბარაშვილი

მდივანი
ანანო გიორგაძე